

ბნელეთისა პირსა მსახლობელი კაცი

მე ვიყავ ბნელეთისა პირსა მსახლობელი კაცი. გლახაკი და უპოვარი ვიყავ. ერთი ცოლი მყვა და ერთი სახლი მედგა.

გავედ მიწდვრად მარტო და ვლიდი ცუდად. ვნახე, ერთსა მგელსა პირთა ყრმა სჩრია და მოაქვს. შევუზახე, ყრმა დააგდო და გაიქცა.

ავიყვანე ყრმა და ვჰკითხე: ვისი ხარ-მეთქი?

მან მრქვა: ქაჯის შვილი, მგელმა მომიტაცა. აწ რადგან მომარჩინე, დამძალე, მამაჩემი მოვა ძებნად, ჩემს წონას თვალსა და მარგალიტს მოგცემს, ნუ მიმცემ, ვირემ თავისი მარნის კლიტე არ მოგცეს. იგი შენ გეყოფისო.

ჩავსვი ჯირკსა შიგან და წამოსასხამი ჩემი მივაფარე. მოვიდა ქაჯი და მითხრა:

- მგელმან შვილი მომტაცა: თუ იცი და მასწავლი, ეგოდენს ოქროს მოგცემ, დასასრულამდე გეყოს.

მე ბევრი მიზეზი დავიდევე: ვიდრე მარნის კლიტეს არ მომცემ,

არა იქნება-მეთქი.

მარნის კლიტე დია დამძიმებით მომცა და შვილს აბრალა, თვარა შენ რა იცოდით და კლდე დამანახვა: მას კლდეს მიაყრდენ და კარი გაელეზაო და წავიდა.

მიველ მას კლდესთან, კარი გავაღე. შეველ, არა იყო რა. ერთი ვირი ება. მეწყინა და ასე ვთქვი: ქაჯი იყო და მაცდინა, თვარა მრავალს მამლევდა, ამის კლიტეს რას ვაქნევდი-მეთქი.

გამწყრალმან ვირს არგანი ვკარ. ვირმან უკანით ხაზინა გახსნა. სულ ვეცხლი და ოქრო გაყარა რა ეს ვნახე, დიდად მიამა და შინ მოვიყვანე. ცოლს ვახარე. შევიყვანე სახლში, დავაბი. ქვეშ ვარცლი შევუდგით ხოლმე, ვცემდით და ვეცხლი და ოქრო გამოგვიყარის.

გამოხდა ხანი. გაავმპარტავნდი. აბანოში წაველ. მას ვირზე შეჯდომა მოვინებე.

ცოლმა დამიშალა: მაგ ვირს ნუ წაიყვანო!

არ დავუჯერე. შევჯე, წაველ, ვირი აბანოს კარზე დავაბი და მე შინ შეველ. თურე მეაბანოვე სხვაგან იყო, მოვიდა, აბანოს კარზე ვირი ნახა, არგანი ჰკრა და აგინა. ვირმან თავისი ხაზინა გახსნა.

მეაბანოემ ნახა, იამა, მოიპარა და სხვა მისი მსგავსი ვირი დამიბა.

გავათავე აბანო, გამოველ, შევჯე, წაველ. რამდენი ვსცემე, ჩონჩორიკის მეტი აღარა გაყარა რა.

დამიწყო ცოლმან ბრალეზა და საყვედური. წაველ კიდევ მარნისაკენ, მეგულებოდა რამე, მიველ, შეველ, ერთი ხელსაფქვავი იდვა. სხვა ვერა ვნახე რა. წამოვიღე დაღონებულმან, მომეხმარებამეთქი.

მოველ. თუ წაღმართ მოვებრუნი, სრულ სასმელ-საჭმელი, რაც მინდის, ყოვლის ნივთისა გამოყარის. აწ მით დავიწყე რჩომა. კიდევ გაავმპარტავნდი და მეფის წვევა მოვინდომე.

ცოლმა დამიშალა: ნუ იწვევო!

არ დავიშალე, ვიწვივე. რა ფიცი მინდა, კარგა დავხვდი. შემიტყეს და ხელსაფქვავი წამიღეს. დავრჩი დაღონებული.

წაველ მარნისაკენ, ჩემი ღონე იქივ მწევდა. შეველ, ერთი გოგრა ეკიდა. სხვა აღარა იყო რა მის მეტი. წამოვიღე და წამოველ.

მაშვრალი, მოწყენილი გზაზე დავჯე და გულისთქმა მომივიდა

და თავს ვაბრალე: რად ვქმენ, მე აბანოს რას ვაქნევდი, ან მეფის წვეულობასა? ამისთანა ვირი და ამისთანა საფქველი დავკარგე. ნეტამც ოთხი კაცი ხელარგნოსანი მომაყენა და ეგოდენი მირტყა, რომ სულად მიმწურა.

გოგრიდამ ოთხი კაცი ამოძვრა, ეგოდენი მირტყეს, სულად მიმაგდეს. რა მოვისვენე, მიამა.

წამოვიღე გოგრა, მოველ ქალაქის პირსა. ვთქვი: ნეტამც თორმეტი ათასი კაცი ამოვიდეს, მეფეს ვირიცა და საფქველიც წამირთონ და მომიტანონ-მეთქი!

ამოძვრნენ ამდენი კაცი გოგრიდამ, ჩაესივნენ ქალაქს, ვირიც და საფქველიც წაართვეს და მომიტანეს.

ცოლმან მითხრა: სხვა თემს წავიდეთ, ჩვენი ყოფნა აქ აღარ იქნებაო!

წამოვედით, ზღვაში ჩავსხედით. აღელდა ზღვა, ხომალდი დაამტვრია. ყველა დაინთქა. მე მარტო ფიცარს შევრჩი, ლადომ გამომაგდო კიდურსა. მოველ აქა და ამ დიდებას მივხვდი.

თქვა მეფემან: